1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 24 (6585)

3 თებერვალი 1980 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

«დინამოსთან», აგიტპუნქტში...

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მორიგ არჩევნებამდე ზუსტად სამი კვირა დარჩა. ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ეს კარგად იგრძნობა ყველგან, განსაკუთრებით — აგიტპუნქტებში.

... „დინამოს“ სტადიონთან არსებული მე-8 საარჩევნო აგიტპუნქტი 50-მდე აგიტატორს აერთიანებს. უბანი კარგად მომზადებული ხვდება საბჭოების არჩევნებს. აქ მაღალ დონეზე ჩაატარეს აგიტპუნქტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ბევრი საინტერესო წინასაარჩევნო ღონისძიება, კერძოდ — შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან, შრომის ვეტერანებთან, წარმოების ნოვატორებთან, დეპუტატებთან, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებთან, ხელოვნების და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან. სისტემატურად ეწყობა აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები.

ამომრჩევლებისთვის ტარდება თეორიული კონფერენციები სხვადასხვა თემაზე. წაკითხულ იქნა ლექციები: „საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპები“, „საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობა სოციალიზმის დიადი მონაპოვარია“, „ლენინურ-ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება“ და სხვ.

აგიტკოლექტივმა დროულად დაიჭირა თადარიგი არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორის მოადგილემ თ. ყიფიანმა, ამავე კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა მ. ბერძენიშვილმა, სპორტის ოსტატთა კლუბის დირექტორმა გ. გაგუამ, აგიტპუნქტის მდივანმა ვ. მამაჯანოვმა და სხვებმა.

როგორც აგიტპუნქტის გამგემ გ. სერგიამ აღნიშნა, აგიტკოლექტივის წევრები მოსახლეობაში ატარებენ საუბრებსა და აღწერებს. თითოეულ აგიტატორს აქვს თავის მიკრორაიონში მუშაობის გეგმა, სპეციალური ჟურნალი ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნებისათვის, აგრეთვე, ჩატარებულ ღონისძიებათა აღრიცხვის რვეული. აგიტატორები ცდილობენ, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ხალხთან, დროულად გააცნონ მშრომელებს პარტიის ყოველი მოწოდება.

1 თებერვალს აგიტკოლექტივმა შეხვედრა მოუწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ვ. მ. დესპოტაშვილს.

მ. კენჭიაშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

* * *

სურათზე: № 8 საარჩევნო უბნის აგიტატორები მორიგ დავალებაზე მიიჩქარიან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მსოფლიოს სპორტსმენები ემზადებიან მოსკოვის სტარტებისთვის

აპრილში — დიდი კალათბურთი

პუერტო-რიკოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა წილისყრის შედეგები, რომელმაც უნდა დააწყვილოს გუნდები კალათბურთელთა მოსკოვის ოლიმპიური ტურნირის სამი საგზურის მოსაპოვებლად.

ამრიგად, 18 აპრილს სან-ხუანში შედგება ამერიკის უძლიერესი გუნდების პირველი შესარჩევი ტური. ბრაზილიელები ამ დღეს ურუგვაის ნაკრებს შეხვდებიან, კანადა — კუბას, ტურნირის მასპინძლები, პუერტორიკოელები უმასპინძლებენ არგენტინის ნაკრებს, ხოლო მექსიკის გუნდი შეხვდება ვენესუელას.

ტურნირის დაწყებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა და ყველა 8 გუნდი მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს დარჩენილი დრო. კუბის ნაკრები მეხიკოს ესტუმრა, სადაც მაღალმთიანეთის პირობებში აპირებს მომზადებას. მომავალ მეტოქეებს ერთმანეთთან დასამალი არა აქვთ რა — კუბელები და მექსიკელები ერთად ვარჯიშობენ.

ბრაზილიელი ოლიმპიელები ამ დღეებში პუერტო-რიკოს გაემგზავრებიან და მომავალი ბრძოლების წინ რამდენიმე მატჩს გამართავენ ადგილობრივ გუნდებთან. კანადისა და ურუგვაის ნაკრებებმა გადაწყვიტეს „მშობლიურ კედლებში“ გაგრძელონ მზადება. არგენტინელები კი რამდენიმე შეხვედრას გამართავენ პანამისა და დომინიკის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებთან.

იასიხირო იამასიტო: ახლა მთავარია ოლიმპიური „ოქრო“

22 წლის ტოკიოს უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის სტუდენტმა პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მძიმე წონის ყველა ფავორიტი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. მწვრთნელების სატოსა და ინოკუმას აღსაზრდელი, იასიხირო იამასიტო, რომლის წონა 127 კილოგრამი, ხოლო სიმაღლე 1,80 მეტრია, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მთავარ ფავორიტად ითვლება.

● თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს?

— იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ეს მეტად კარგი და ლამაზი შეგრძნებაა ადამიანისთვის. აქამდე მე იაპონიის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონიც ვიყავი. ყოველივე ამ წარმატებებს ჩემთვის ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს.

● უკანასკნელად როდის წაგეთ ორთაბრძოლა?

— ეს სამი წლის წინათ იყო. უცხოელ ათლეტთან კი ჯერ არ დავმარცხებულვარ.

● რამდენი წლიდან დაიწყეთ ტატამზე გამოსვლა?

— ათი წლის ასაკში მოხდა ჩემი პირველი ნაცნობობა ძიუდოსთან, ხოლო სპორტის ამ სახეობაში სერიოზული ვარჯიში 13 წლის ასაკიდან დავიწყე.

● სკოლის მაღალ კლასებში უკვე ეკუთვნოდით თუ არა მძიმეწონოსნებს?

— 14 წლის ასაკში უკვე 106 კგ-ს ვიწონიდი, ერთი წლის შემდეგ — 123 კილოგრამს. ასე, რომ, ნამდვილი მძიმეწონოსანი ვარ.

● თქვენ ისეთი ფიზიკური მონაცემები გაქვთ, რომ თავისუფლად შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ჭიდაობა სუმოს შეჯიბრებებშიც, რომელიც ასევე იაპონელთა ეროვნული ჭიდაობაა...

— ამისათვის ფიზიკური მონაცემები მართლაც კარგი მაქვს, მაგრამ სუმოს მოჭიდავეებთან დამეგობრება ჭკუაში არ მიჯდება. ისინი ხომ ნამდვილი პროფესიონალები არიან და მხოლოდ ამით ცხოვრობენ.

● როგორია თქვენი მომავალი გეგმები?

— ჩემთვის ახლა ყველაზე დიდი მნიშვნელობა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს აქვს და მეც ამისათვის ვიკრეფ ძალებს. დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ ოლიმპიადაზე გამოსვლას და ოქროს მედლის მოპოვებას.

„დოიჩეს შპორტეხო“.
თარგმნა ბ. ღამბაშიძემ.

● ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲪᲐᲘᲢᲜᲝᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

რიგა, 2 თებერვალი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატში VII ტურის შეხვედრები გაიმართა.

დაძაბულად მიმდინარეობდა გ. ზაიჩიკ—მ. ჩიბურდანიძის შეხვედრა, რომელიც სიცილიური დაცვით დაიწყო. ზაიჩიკმა პერსპექტიული პოზიცია მიიღო, მაგრამ ორმხრივ ცაიტნოტში აჩქარდა და უფიგურად დარჩა. პარტია გადაიდო, სადაც იგი ყაიმის შანსს ინარჩუნებს.

ზ. ეინგორნმა (რიგა) პირველი მარცხი აწვნია ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი). ყაიმზე შეთანხმდნენ ბ. გავრიკოვი (მოლდავეთი) და ვ. ჩეხოვი (მოსკოვი), ა. ხარიტონოვი (გორკი) და ე. მაგერამოვი (ბაქო), ზ. ლანკა და ე. კენგასი (ორივე — რიგა), ლ. იურტაევი (ფრუნზე) და ზ. აზმაიფარაშვილი. ქართველმა ოსტატმა ადვილად გაათანაბრა თამაში და მეტოქეს დაუზავდა მე-19 სვლაზე.

7 ტურის შემდეგ ე. კენგასს 5 ქულა აქვს, ზ. აზმაიფარაშვილს, ზ. ეინგორნს — 4,5-4,5, ლ. ფსახისს — 4.

● ᲑᲘᲐᲢᲚᲝᲜᲘ

ᲗᲐᲡᲘᲪ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ

სსრ კავშირის უძლიერესი ბიატლონისტები ლეიკ-პლესიდის სტარტებისათვის ბაკურიანში ემზადებიან. აქვე მათ სსრ კავშირის თასიც გაითამაშეს.

20-კილომეტრიან რბოლაში სრულით გაიმარჯვა ლენინგრადელმა ანატოლი ალიაბევმა — 1 საათი, 13 წუთი და 39 წამი (3 საჯარიმო წუთი), მეორე იყო ვლადიმერ ბარნაშოვი — 1:15.41 (5), მესამე — ლეონიდ ნოვიკოვი (ორივე — ომსკი) — 1:17.07 (3). ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლოზ კრუგლოვი (გორკი) მეხუთე ადგილზე გავიდა — 1:19.14 (5).

მეორე დღეს ბიატლონისტები ეჯიბრებოდნენ სპრინტერულ რბოლაში 10 კილომეტრზე. საუკეთესო შედეგი ჰქონდა პირველ ვლადიმერ ალიკინს — 34 წუთი და 34,06 წამი (1 საჯარიმო წუთი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ალიაბიევი — 35.42,05 (1)



და ალექსანდრე ელიზაროვი (მოსკოვის ოლქი) — 35.45,21 (2).

ხუთეულში შევიდნენ აგრეთვე ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ორი კანდიდატი — სერგეი დანჩი (ნოვოსიბირსკი) — 35.57 (2) და ალექსანდრე უშაკოვი (ლენინგრადი) — 36.02 (2).

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა ესტაფეტა 4×7,5 კილომეტრზე. გაიმარჯვა სსრ კავშირის II ნაკრებმა. სპრიზო ადგილებზე გავიდნენ აგრეთვე „დინამოსა“ და საბჭოთა არმიის გუნდები.

ახლა ბაკურიანში სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ორეულები.

ტელეფონით „ლელოს“ კორ.

● ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲡ ᲐᲯᲝᲑᲐ

მოსკოვის დახურულ ოლიმპიურ ველოტრეკზე გათამაშდა წლევანდელი ზამთრის ჩემპიონატის ბოლო მედლები. 150 წრეზე 30 საშუალედო ფინიშით ჯგუფურ რბოლაში 40 სპორტსმენი მონაწილეობდა.

„ოქროს“ მაძიებელთა შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ვ. პეტრაკოვი, გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ქვეყნის ზამთრის პირველობაში გამარჯვებული ლენინგრადელ სტუდენტთა კვარტეტი და სხვანი. წარმატება კი წილად ხვდა ნაკლებად ცნობილ, 23 წლის რიგელ ე. კრაულერსს. მან ჯერ 4 სხვა ველოსიპედისტთან ერთად წრე მოუგო მეტოქეებს, მერე კიდევ ორი წრის უპირატესობა მოიპოვა და ესოდენ დიდ შეჯიბრებაში პირველად დაიმსახურა ოქროს მედალი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ერგოთ სტუდენტებს — ლენინგრადელ ნ. კუზნეცოვსა და მოსკოველ ი. უსტინოვს.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ — ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ — ᲞᲠᲐᲚᲐ

ასეთი იქნება წლევანდელი მშვიდობის ველორბოლის მთავარი მარშრუტი, რომელიც 14 ეტაპადაა დაყოფილი. მისი საერთო სიგრძე 2091 კილომეტრს შეადგენს. ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 26-მა ქვეყანამ.

მოსალოდნელია ზოგიერთი სიახლე. მაგალითად, სპორტსმენებისთვის, რომლებიც „მთის მეფის“ სახელისთვის ბრძოლაში დაწინაურდებიან, შეჯიბრებას ვარდისფერი მაისურით გააგრძელებენ.

საერთაშორისო „სპორტლოტოს“ მონაწილეთა საყურადღებოდ!

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველო და საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო აცნობებს საერთაშორისო „სპორტლოტოს“ ლატარიის მონაწილეებს, რომ ოლიმპიადა-80-ის ტურისტული საგზურის მფლობელები — I-VII საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის მომგებიანი ბილეთების მფლობელები, საგზურებს მიიღებენ 5 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით და არა 1 თებერვლიდან, როგორც ადრე იყო გამოცხადებული.

ასე აღიდგენდა ბელადი ენერგიას

ერთხელ ემიგრაციაში მყოფმა ვლადიმერ ილიას ძმე დისგან — მარია ილიას ასულისაგან წერილი მიიღო. იგი გონებრივ გადაღლას უჩიოდა. ლენინმა დას მისწერა: „გირჩევ, სწორედ გაანაწილო შენი მეცადინეობა, რაც მთავარია, ეცადე რამდენიმეჯერ გააკეთო სხვადასხვა მოძრაობა — ეს აუცილებელია.“ — ურჩევდა ვლადიმერ ილიას ძე თავის დას და თვითონაც ამ ხერხით განიტვირთებოდა ხოლმე გონებრივი გადაღლისაგან.

ჭადრაკი, ველოსპორტი, ტურიზმი, ნადირობა, თევზაობა, ცურვა, ტანვარჯიში, ციგურაობა—აი, სპორტის სახეობები, რომლებიც აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა ბელადს და თვითონაც იყო გატაცებული.

ემიგრაციაში თუ გადასახლებაში ყოფნის დროს ლენინს არასოდეს ავიწყდებოდა ფიზიკური ვარჯიში. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ფიზიკურ წრთობას, ჯანსაღ სხეულს შეეძლო იმ დიდი ენერგიის აღდგენა, რასაც ხარჯავდა. „მხოლოდ მას შეეძლო ემუშავა ისე, როგორც არავის, და შეეძლო დაესვენა ისე, როგორც არავის.“ — იგონებს ანა ილიას ასული ულიანოვა-ელიზაროვა.

1908 წელს იტალიაში კაპრზე ემიგრაციაში ყოფნის დროს ლენინი გორკისთან ერთად სეირნობდა ნეაპოლის მიდამოებში; დაუთვალიერებია პომპეი; ასულა ვეზუვის მთაზე. კაპრელი მეთევზეების თანხლებით ნავით გადიოდა ზღვაში და თევზაობდა, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ილიჩს. აქვე ლენინი გატაცებით თამაშობდა ჭადრაკს.

როგორც ცნობილია, ლენინმა ემიგრაციაში ყოფნის დროს 1911 წელს, პარიზის მახლობლად დაბა ლონჟიუმში მოაწყო პარტიული სკოლა. ლონჟიუმიდან 12 კილომეტრზე მიედინება სენა. ცხელ დღეებში ლენინი პარტიული სკოლის მსმენელებთან ერთად ველოსიპედით მიდიოდა ხოლმე სობანაოდ.

ლენინს განსაკუთრებით ხიბლავდა ტურიზმი. მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე სეირნობა. საფრანგეთში ყოფნის დროს ნ. კრუპსკაიასთან, ინესა არმანდისთან და სხვა ამხანაგებთან ერთად კვირაში ერთხელ სისტემატურად მიემგზავრებოდა ხოლმე ქალაქგარეთ.

ლენინის ახლობლები და თანამებრძოლები მოწმენი იყვნენ თუ რაოდენ სიამოვნებას ჰგვრიდა და ენერგიას მატებდა მას სუფთა ჰაერზე სეირნობა, ვარჯიში, მთებსა და ტყეში სიარული, ცურვა.

აი, რას იგონებს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ბელადის ახლო მეგობარი ვ. ბონჩ-ბრუევიჩი: „ბევრჯერ ნავსულვარ ლენინთან ერთად სასეირნოდ და ტბაზე საბანაოდ. იგი შესანიშნავად ცურავდა. ერთი სიამოვნება იყო ტალღებთან შებმული ილიჩის ცქერა. გაცურავდა შორს, შორს უზარმაზარ ტბაში, რომლის მეორე ნაპირი ღრუბლებში იმალებოდა. მე ვიცოდი და მას ვაფრთხილებდი, რომ ტბაში ვულკანური წარმოშობის ცივი დინებაა! ტბა ძალიან ღრმაა. ხშირია უბედური შემთხვევები, ბევრი დამხრჩვალა...

— ამბობთ იხრჩობიანო? — შემაწყვეტინა ლენინმა ლაპარაკი და თან სწრაფად გაიხადა.

— დიახ, იხრჩობიან! აი, ამას წინათ...

— არა! ჩვენ არ დავიხრჩობით.

— ვლადიმერ ილიჩ, ცივი დინება არ არის სასიამოვნო.

— არა უშავს რა, მზეზე გავთბებით. ამბობთ, ღრმა არისო, არა?

— მეტი სიღრმე რაღა იქნება...

—ვცდი, ფსკერამდე ჩავყვინთო, — მიპასუხა ილიჩმა.

მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. პირიქით, თურმე ვაქეზებდი, ვაინტერესებდი მას და, როგორც ნამდვილ სპორტსმენს, სიმხნევეს ვმატებდი.

ვლადიმერ ილიას ძე თვალის დახამხამებაში ტბისკენ დაეშვა. ერთბაშად ხელები წინ გასწია და ჩაყვინთა. მხედველობიდან დავკარგე, ვღელავ, განვიცდი... მან კი ნაპირიდან კარგა მოშორებით ამოჰყო თავი. მსუბუქად მიაპობს ტალღებს, მიცურავს. აი, ზურგზე გადაბრუნდა, ისვენებს... შემდეგ ამოტრიალდა და მხარული მოუსვა. გული რომ იჯერა, მკვეთრად შემოტრიალდა და ნაპირისკენ წამოვიდა. აი, თითქოს უნდა ამოვიდეს კი-



დეც, მაგრამ ვერასგზით ვერ ტოვებს ცივ ტალღებს. უცებ ისევ ჩაყვინთა, თვალს მოეფარა, მე ვღელავ, ის კი მშვიდად ამოდის წყლიდან.

ილიჩი დიდად კმაყოფილია. აქებს ტბას, ცივ დინებას, წვება მზეზე და თან კმაყოფილებით მიამბობს განცდილს...

მე კი გაოცებული შევცქერი ბელადის სახეს და აღარ მიკვირს, საიდან აქვს ვლადიმერ ილიას ძეს ასეთი დიდი ენერგია და ძალა; როგორ უძლებს ასეთ დიდ გონებრივ დატვირთვას, მძიმე შრომას“.

ბ. ჩიკვაიძე,
საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეცნიერი მუშაკი.

სურათზე: ლენინი ზაკოპანეს მთებში.

ველოსიპედის გარეშე...

ჩვენი რესპუბლიკის ტრეკზე მრბოლელებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ამის დასტურად ისიც კმარა თუ ვიტყვით, რომ თბილისელი ველოსიპედისტები — პ. ჩეკარდოვი, გ. დვალიშვილი და ე. გელაშვილი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები არიან.

განუზომელია ამ საქმეში ველოსპორტში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის წვლილი. სკოლის თავკაცების (დირექტორი ო. ფხაკაძე) გეგმაზომიერი, შემოქმედებითი მუშაობა მომავალშიც ბევრ სიკეთეს გვპირდება. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სპორტსმენთა ტექნიკური და საერთო ფიზმომზადების სრულყოფას.

სწორედ ამ მიმართებით გაწეული მუშაობის შემოწმება იყო თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარებული სპორტული სკოლების აღსაზრდელთა შეჯიბრება კროსში 1962-67 წლებში დაბადებულთა შორის. პროგრამა ითვალისწინებდა 5, 7,5 და 10 კილომეტრზე რბენას. ასპარეზობაში ძალას ცდიდა 200-მდე მონაწილე.

• • •

ამ სურათებზე სწორედ შეჯიბრების მომენტებია აღბეჭდილი: 1962-63 წლებში დაბადებულნი დისტანციაზე (ქვევით); „ლოკომოტივის“ წევრი ფ. სურაილოვი პირველი იყო ფინიშთან.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

საქართველოს სპორტკომიტეტი

გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის აღსანიშნავად ახალახალ წარმატებებს აღწევენ. ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა, ოლიმპიური მზადების ბაზებმა ბაკურიანსა და ლესელიძეში, „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ, აიღეს რა გაზრდილი ვალდებულებები, პირნათლად ასრულებენ მას. კოლეგიამ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების კონკრეტული ღონისძიებების გეგმა.

კოლეგიამ იმსჯელა სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში საქართველოს მოკრივეთა შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ მოკრივეთა ნაკრებმა რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას 119,75 ქულა შესძინა და VII ადგილი დაიკავა, გუნდის წევრებმა მოიპოვეს 1 ვერცხლის (48 კგ — ო. დეულინი) და 3 ბრინჯაოს (54 კგ — ა. ხიზანიშვილი, 71 კგ — მ. თაქთაქიშვილი, 81 კგ — დ. კვაჭაძე) მედალი.

საქართველოს სპორტკომიტეტმა ნაკრებს ყველა პირობა შეუქმნა მომზადებისთვის. კარგად იმუშავეს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დ. დადიანმა, მწვრთნელებმა — ა. ნავასარდოვმა, ი. ხატიაშვილმა, ვ. ძნელაძემ, ს. ბერძენიშვილმა, თ. მიქაელიანმა, ქ. თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ (დირექტორი ნ. ლობჟანიძე). ამის შედეგია, რომ რესპუბლიკის მოკრივეებმა წინა სპარტაკიადებთან შედარებით საგრძნობლად გააუმჯობესეს მაჩვენებელი. მაგრამ ანალიზმა ისიც ცხადყო, რომ ჩვენს მოკრივეებს არ ჰყოფნით გამოცდილება, უკმარია მათი სპეციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. უმეტესობას არ შეუძლია ტაქტიკურად სწორი ბრძოლა. რესპუბლიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა კრივში მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებას. სოხუმში, ბათუმში, ფოთში, გორსა და მახარაძეში არსებული სპეციალიზებული ბაზები მოუწყობელია, არ არის შექმნილი საჭირო პირობები ნორმალური წვრთნისათვის.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ სპარტაკიადაზე მოკრივეთა გამოსვლა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დასახა ამ სახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. დაამტკიცა VIII სპარტაკიადისათვის მზადების ოთხწლიანი ციკლის გეგმა.

სხდომამ მოისმინა, აგრეთვე, ჭიდაობის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკურ სპორტულ სკოლაში სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში რესპუბლიკის მოჭიდავეთა მონაწილეობის, XXII ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და რესპუბლიკაში ჭიდაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სპორტკომიტეტის 1979 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

სპორტკომიტეტის ოლიმპიური მზადების შტაბის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლის 1979 წლის სამუშაო, სასწავლო, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმები, დებულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები შედგენილია არასრულყოფილად და ფორმალურ ხასიათს ატარებს. ჯგუფების დაკომპლექტებაში დაშვებულია შეცდომები. მეთოდისტების უმრავლესობა არ ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს. მათი საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ მწვრთნელთა და სპორტსმენთა მეცადინეობაზე დასწრების აღნუსხვით. სკოლამ ვერ შეძლო ყველა სფეროში სწორი ხელმძღვანელობა, დატვირთვის რეჟიმზე სათანადო კონტროლის განხორციელება.

აღინიშნა ფალავანთა კლუბის (დირექტორი გ. ჩიტაიშვილი) სუსტი მუშაობა. აქ დღემდე არ არის შექმნილი მუშაობის ნორმალური პირობები. საწვრთნელ დარბაზებში არა აქვთ ტრენაჟორები, საჭირო იარაღი, სადემონსტრაციო წამმზომი, გამოყენებული არ არის ვიდეომაგნიტოფონი. სკოლის კოლექტივს სათანადო დასკვნები ჯერ კიდევ არ გამოუტანია სპორტკომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებიდან.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლის დირექტორი **ვ. კანკავა** გადაყვანილია სხვა სამუშაოზე, დირექტორის მოადგილე **ი. ქორჩილავა** განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან სამუშაოზე გამოუცხადებლობისთვის. სკოლის უფროს მეთოდისტს **გ. აბრამიას**, მეთოდისტებს **ვ. კუძიევს, გ. ბოტკოველს, თ. გოგოჭურს** გამოეცხადათ საყვედური.

ფალავანთა კლუბის დირექტორს **გ. ჩიტაიშვილს** არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის გამოეცხადა საყვედური; მიღებულია ცნობად, რომ **ნ. ექვთიმიშვილი, მ. ოსიაშვილი** განთავისუფლებულნი არიან ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელობის მოვალეობიდან; სუსტი მუშაობისთვის **გ. როსტიაშვილი** გადაყენებულია ნაკრების მწვრთნელობიდან; გაფრთხილებულია სპორტკომიტეტის შესაბამისი სამმართველო, რომელსაც დაევალა გაძლიეროს უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის მუშაობისადმი კონტროლი.

სხდომამ მოისმინა XXII ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოდან სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების კანდიდატთა მზადების მიმდინარეობისა და ამ საქმეში ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაზრდისა და კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი.

ოლიმპიური თამაშებისათვის კანდიდატების მზადების ინდივიდუალური გეგმების შესრულების მიმდინარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ იმ დიდ მუშაობასთან ერთად, რასაც საქართველოს სპორტკომიტეტი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებთან ეწევა, ჯერ კიდევ შეინიშნება ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა გულგრილობა.

სპორტკომიტეტის კოლეგიამ დაამტკიცა კონკრეტული ღონისძიებანი ოლიმპიადის კანდიდატთა მზადების შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე და ყველა ორგანიზაციას ძირითად ამოცანად დაუსახა თამაშებისთვის კანდიდატების უმაღლეს დონეზე მომზადება.

სხდომამ იმსჯელა რესპუბლიკის ხელბურთელთა ნაკრები გუნდის სსრ კავშირის ჩემპიონატის I ტურში მონაწილეობისა და II ტურისთვის მზადების მიმდინარეობის; რესპუბლიკაში მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურული-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის მდგომარეობის, სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი გაუმჯობესებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

კოლეგიამ დაამტკიცა XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა XXXI რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულება და საქართველოს სპორტკომიტეტის 1980 წლის ძირითადი სამუშაო გეგმა.

კოლეგიამ სამუშაოდან გაათავისუფლა გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ლალებაშვილი.** გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა **ე. კოშკაძე.**

...ბოლოს ინგლისში

მოგვითხრობს საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე

პირველად ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში შეუსვენებლად, ზედიზედ მომიხდა სამ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მონაწილეობა.

გასული წლის ნოემბრის ბოლოს გფრ-ის საკურორტო ქალაქ ბად-ლაუტენბერგში მოეწყო ფინალური მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე საკლუბო გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს და როტერდამის „ვოლმარჩის“ (ჰოლანდია) კოლექტივები. გუნდში ჩემს გარდა იყვნენ: იური ბალაშოვი, ვასილ სმისლოვი, იური რაზუვაევი, ვლადიმერ ბაგროვი, ალექსანდრე კოჩიევი და სერგეი დოლმატოვი. როტერდამის ძლიერი გუნდის პირველ დაფაზე კორჩნოი გამოდიოდა. მატჩი დაძაბულად წარიმართა. პირველ დღეს დავმარცხდით — 2,5:3,5, მეორე დღეს კი გავიმარჯვეთ ასეთივე ანგარიშით. დაინიშნა დამატებითი, მესამე შეხვედრა, რომელიც გაცილებით ძლიერად ჩავატარეთ — 4:2 და ევროპის ჩემპიონთა თასი მეორედ (სულ ორჯერ ჩატარდა ასეთი შეჯიბრება) მოვიპოვეთ.

შინ დაბრუნებისთანავე გავემგზავრე მინსკში, სადაც 29 ნოემბრიდან 27 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირის 47-ე ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) ვმონაწილეობდი. მიზნად დავისახე ყველა პარტიაში უკომპრომისოდ ბრძოლა. ტურნირის სტარტი ჩემთვის მძიმე აღმოჩნდა. I ტურში შევხვდი ახალგაზრდა ბაქოელ მოჭადრაკეს ბარი კასპაროვს. თანაბარ პოზიციაში გამწვავებაზე ვითამაშე, მაგრამ ცაიტნოტში მოვხვდი და საბოლოოდ დავმარცხდი — მოსაფიქრებლად განკუთვნილ დროს გადავაცილე. მომდევნო სამ ტურში ყაიმზე შევუთანხმდი. VI ტურში გრიპი მომერია და სამი შეხვედრა გამოვტოვე, რის გამოც საკმაოდ მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდი. ეს პარტიები მხოლოდ ტურნირის რეგლამენტით გამოყოფილ გადადებული პარტიების დამთავრებისა და დასვენების დღეებში ვითამაშე.

მინდა აღვნიშნო, რომ VI ტურიდან 10 პარტიაში 7,5 ქულა დავაგროვე, რითაც საგრძნობლად გამოსწორდა ჩემი სტატურნირო მდგომარეობა და ბოლო ორი ტურის წინ II-V ადგილებს ვიყოფდი. ამ პარტიებში დავამარცხე საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონები: მ. ტალი და ვ. ცეშკოვსკი, დიდოსტატები რ. ვაჰანიანი, ი. რაზუვაევი, საერთაშორისო ოსტატები ვ. კუპრეიჩიკი და ს. დოლმატოვი. XVI ტურში პრინციპულ პარტიაში ახალგაზრდა მოსკოველ საერთაშორისო ოსტატ ა. იუსუპოვთან (ისიც II-V ადგილებს იყოფდა) უარი ვთქვი საყაიმო გაგრძელებაზე და დიდი გართულებების შემდეგ... დავმარცხდი.

საბოლოოდ 9,5 ქულით V-VII ადგილები გავიყავი და 1980 წლის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება შევინარჩუნე.

როგორც 1978 წელს, ამჯერადაც მხოლოდ ნახევარი ქულა დამაკლდა ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მოპოვებას, ვითამაშე რამდენიმე საინტერესო პარტია. ერთ-ერთ მათგანში მინსკელ ვ. კუპრეიჩიკთან სპეციალური პრიზი მომაკუთვნეს.

გთავაზობთ ამ პარტიის ფინალს (შავებით კუპრეიჩიკია):



ლაზიერის ფრთაზე ინიციატივის მიღების მიზნით ხარისხი შევწირე და ფიგურები კარგად განვალაგე.

22. c5! cd 23. ∂:d5 dc 24. bc h4 25. f4! ef 26. ∂f3! (აქედან მოყოლებული ყველა შემდეგი სვლით მსუბუქი ფიგურები ცენტრალურ მოიერიშე უჯრებზე გადამყავს) 26. ...ლd8 27. კc4 ეf7 28. ∂e5 fg 29. კd4! (მიუხედავად იმისა, რომ შავებს მატერიალური უპირატესობა აქვთ, მათი პოზიცია უიმედოა) 29. ...∂g5 30. ∂:f7 ∂:f7 31. ეb7 კg5 32. ე:f7! ∂ფ:f7 33. ∂f4+ ∂ფe8 34. ლ:a4+ ლd7 (არ ვარგა 34. ...∂ფe7 35. ∂:g6-ის გამო) 35. კb5 კ:f4 36. კ:d7+ ∂ფe7 37. ef ∂c7 38. კf6+. შავები დანებდნენ.

ამ ჩემპიონატის დროს მეხმარებოდა თბილისელი დიდოსტატი ე. გუფელდი, რომელმაც გარკვეულად ხელი შემიწყო კარგად გამოსვლაში.

28 დეკემბრიდან 15 იანვრამდე ვმონაწილეობდი ჰასტინგსის (ინგლისი) ტრადიციულ საშობაო 55-ე საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც დასაბამი 1921 წელს მიეცა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მე და ს. მაკარიჩევმა დავაგვიანეთ I ტურზე. შეჯიბრების რეგლამენტი მძიმე იყო: პარტიები იმართებოდა 14-დან 19 საათამდე, ორსაათიანი შესვენების შემდეგ ვიწყებდით გადადებული პარტიების დამთავრებას.

ტურნირმა ახალგაზრდულ შემადგენლობას მოუყარა თავი. მონაწილეობდა 10 დიდოსტატი, 5 საერთაშორისო ოსტატი და 1 ეროვნული ოსტატი. სენსაციად შეიძლება მივიჩნიოთ ინგლისელი მოსწავლის, 14 წლის ნიგელ შორტის ბრწყინვალე გამოსვლა. მან ინგლისის 1979 წლის ჩემპიონატში I-III ადგილები გაიყო და ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო. შორტმა ტოლი არ დაუდო ბევრად გამოცდილ მეტოქეებს. ბრწყინვალედ დაამარცხა რამდენიმე დიდოსტატი და 8 ქულა მოაგროვა. ინგლისელმა უმაწვილმა მეორედ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი. ფიდე-ს უახლოეს კონგრესზე მას ახალი წოდება მიეკუთვნება.

ჩემთვის ამ ტურნირის სტარტიც წარუმატებელი აღმოჩნდა. III ტურში დაახლოებით თანაბარ პოზიციაში უარვყავი ინგლისის 1978 წლის ჩემპიონის ი. სპილმენის მიერ შემოთავაზებული ყაიმი, არასწორი გაგრძელება ავირჩიე და დავმარცხდი. ამას რამდენიმე ყაიმი მოჰყვა და ფინიშზე სამი შეხვედრის მოგებით 8,5 ქულა დავაგროვე, IV-VI ადგილები გავიყავი.

I-II ადგილები გაინაწილეს ცნობილმა დიდოსტატებმა, შვედმა უ. ანდერსონმა და ინგლისელმა ი. ნანმა — 10-10.

ამ ტურნირშიც რამდენიმე კარგი პარტია მქონდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ნ. შორტთან.

სპორტი, კერძოდ დიდი სპორტი, კარგ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად უზარმაზარ ნებისყოფას მოითხოვს. თუ გული და ნერვები სუსტი გაქვს, ან პირველი სიხარულის ცდუნება აგიტაცებს, ანდა მარცხით გამოწვეული ხევდა დაგაძაბუნებს, წარმატება გვერდს აგივლის. ვინც მაღალი სპორტული მწვერვალების დასალაშქრავად ემზადება, არ უნდა შეუშინდეს ყოველდღიურ, ქანცგამწყვეტ ვარჯიშს, უყოყმანოდ შეასრულოს აღმზრდელის ყოველი რჩევა, ყველა მითითება.

ეს ფოტოსურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა თბილისის სპორტის სახლში, სსრ კავშირ — აშშ-ის მოკრივეთა მატჩის დროს გადაიღო. ეს-ესაა პირველი რაუნდი დამთავრდა და ჰერლი სნიდთან უმალვე გაჩნდა ამერიკელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი პეტ ნეპპი — ვინ იცის, უკვე მერამდენედ არიგებს და სპორტსმენიც ყურადღებადაა ქცეული.

ფსიქოლოგია სპორტის სამსახურში



თანამედროვე სპორტის სხვადასხვა კუთხის შემსწავლელ მრავალ სამეცნიერო დარგს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ფსიქოლოგიას უჭირავს. დღეს, როცა სპორტულ სარბიელზე ყველაფერს მილიმეტრები, წამის მეასედები წყვეტენ, როცა არნახულად გაიზარდა მოსპორტეზეთა ნერვული დაძაბულობა, ერთი მრავალთაგანი, ვინც გამარჯვებას ჭედს, უდავოდ, სპორტული ფსიქოლოგია. და, ვინაიდან ფიზკულტურა და სპორტი შორს ვერ წავა ფსიქოლოგთა დახმარების გარეშე, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ თემაზე — სპორტისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობაზე საუბარი, რომელსაც ახლა გთავაზობთ. რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორს ვლადიმერ ნორაკიძეს, რომელსაც ამას წინათ დაბადების 75 წელი შეუსრულდა.

● თანამედროვე სპორტი წარმოუდგენელია სხვადასხვა მეცნიერებასთან და, კერძოდ, ფსიქოლოგიასთან. ურთიერთკავშირის გარეშე. როგორია ამჟამად სპორტის ფსიქოლოგთა ძირითადი მიზნები და ამოცანები, პრობლემები, რაზე ამახვილებენ ისინი მთავარ ყურადღებას?

— სპორტის ფსიქოლოგია საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს. მისი ძირითადი ამოცანაა სპორტული ქცევის თავისებურებათა შესწავლა. სპორტი, როგორც ადამიანის შეგნებული ქცევა, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ ქცევის ყველა მხარე (მოძრაობის ჩვევების შეთვისება, ფიზიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური მომზადება და სხვ.) შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივით არის განპირობებული. ამიტომ, სპორტის ფსიქოლოგია მოწოდებულია შეისწავლოს სპორტული ქცევის ზემოაღნიშნული კომპონენტები შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივთან მიმართებაში. ამ მხრივ ფსიქოლოგიას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს სპორტულ პრაქტიკას. იგი სწავლობს მოძრაობის ტექნიკის ფსიქოლოგიურ ბუნებას, მთლიანად წვრთნის პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს და, რაც მთავარია, შეჯიბრების პროცესის ფსიქოლოგიას.

● რა ურთიერთობა აქვთ რესპუბლიკის მოწინავე სპორტის ფსიქოლოგებს სპორტულ კოლექტივებთან თუ ცალკეულ სპორტსმენებთან?

— საქართველოში სპორტის ფსიქოლოგიაში მუშაობა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრასთან (კათედრის გამგე გ. ნიკოლაიშვილი) მიმდინარეობს. ამ კათედრასთან ჩემი ხელმძღვანელობით, მუშაობდა და მუშაობს ფსიქოლოგთა ჯგუფი (გ. ამილახვარი, გ. დვალი, გ. სამსონაძე, ა. გრიგოლავა, ბ. ხორბალაძე და სხვ.), რომელიც მთელი რიგი საკითხები დაუშავა სპორტის ფსიქოლოგიაში და სპორტსმენის პიროვნების შესწავლად კვლევის გარკვეული მეთოდი შეადგინა. ჯგუფის თეორიული და კვლევითი მუშაობის შედეგებმა გარკვეული გამოყენება ჰპოვა პრაქტიკაშიც. ეს ჯგუფი წლების განმავლობაში სწავლობდა როგორც საბჭოთა კავშირის ოლიმპიური სამთამოთხილამურეთა ნაკრები გუნდის, ისე ჩვენი რესპუბლიკის სამთამოთხილამურეთა ნაკრები გუნდის წევრებს, აგრეთვე, წამყვანი ქართველი მოჭიდაველების, მოკრივეებისა და ტანმოვარჯიშეების ფსიქოლოგიურ თვისებებს. ფსიქოლოგთა ჯგუფი წლების მანძილზე აწარმოებდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესწავლას, იკვლევდა ამ სპორტსმენების პიროვნულ თვისებებს, სპორტის არჩეულ სახეობაში მათ უნარიანობას, ხასიათის სტრუქტურას. ასეთი მასალების ანალიზის ნიადაგზე ამუშავებდა სპეციალურ რეკომენდაციებს მწვრთნელებისთვის. ეს რეკომენდაციები გულისხმობდა, თუ როგორ უნდა ემუშავა მწვრთნელს ცალკეულ სპორტსმენებთან მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ასეთმა მუშაობამ საკმაოდ კარგი ნაყოფი გამოიღო და, რაც მთავარია, თვითონ მწვრთნელები არიან კმაყოფილი.

● რა განსხვავებაა გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებასა და სპორტსმენის ინდივიდუალურ მომზადებას შორის?

— ფსიქოლოგიური მომზადება შეჯიბრების პროცესში სპორტსმენის სპორტულ შესაძლებლობათა მაქსიმალური მობილიზაციისა და გამოყენების უნარს გულისხმობს. ამ შემთხვევაში სპორტსმენის ინდივიდუალური და გუნდის ფსიქოლოგიური მომზადება ურთიერთთან მჭიდრო კავშირში უნდა წარმოებდეს. როგორც ცალკეულ სპორტსმენთა, ისე გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებაზე მუშაობა, პირველ რიგში, ცალკეული სპორტსმენის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნას უნდა ემყარებოდეს. თუ სპორტსმენი ფსიქოლოგიურად იქნება მომზადებული, ბუნებრივია, ეს დიდად შეუწყობს ხელს გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებას. მაგრამ, გუნდის ფსიქოლოგიური მომზადება კიდევ საჭიროებს სხვა, ცალკეულ ღონისძიებებსაც, რომელიც თვითონ გუნდის, როგორც კოლექტივის ფსიქოლოგიის ცოდნას ემყარება (აქ ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, თუ რა დამოკიდებულებაა გუნდის წევრებს შორის, როგორია ფსიქოლოგიური კლიმატი გუნდში, რა პრეტენზიები აქვს გუნდის თითოეულ წევრს და სხვ).

ფსიქოლოგიური მომზადება არის ზოგადი და სპეციალური. ყველაზე მნიშვნელოვანია კონკრეტული შეჯიბრებებისთვის სპეციალური მომზადება. ამისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა როგორც მწვრთნელმა, ისე სპორტსმენმა იცოდეს შეჯიბრების მიზანი, მნიშვნელობა, ადგილი, სადაც იგი იმართება, უნდა იცოდეს ვისთან აქვს საქმე, მეტოქის გუნდის ისტორია, რა ტაქტიკასა და ხერხებს ამჯობინებს იგი ასპარეზობის დროს, ესე იგი, მეტოქის ვინაობის ყველა დეტალი. უნდა წარმოიდგინოს აგრეთვე, როგორი იქნება ტრიბუნების რეაქცია, ერთი სიტყვით, საჭიროა მომავალი შეჯიბრების ყველა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ცოდნა.

● ცნობილია, რომ სპორტსმენთა ერთ ნაწილში გამეფებულია შიშის გრძნობა. ეს შეიძლება იყოს წაგების შიში, მოგების შიში, უცხო მოედნის, „საკუთარი კედლების“ შიში. რა როლი ეკისრება მწვრთნელს, როგორც ფსიქოლოგს შიშის გრძნობის დაძლევაში?

— ეს მდგომარეობა დიდადაა დაკავშირებული სტრესულ სიტუაციაში პიროვნების გამძლეობის უნართან. სპორტსმენის ეს თავისებურება პირადი დაკვირვებით შეუძლია იცოდეს მწვრთნელმა, მაგრამ ეს საქმე ფსიქოლოგისთვის უფრო უპრიანია. ფსიქოლოგს შეუძლია სპორტსმენის ემოციური სტრესის დონე კომპლექსური კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოარკვიოს.

ემოციური სტრესები შეიძლება თავს იჩენდეს წინასასტარტო მდგომარეობაში. უცხო მოედნის ან საკუთარი კედლების, მოგების ან წაგების შიში ყველა სპორტსმენისთვის, რა თქმა უნდა, არ არის დამახასიათებელი. ეს, განსაკუთრებით იმისთვის არის ნიშნეული, ვისაც მძიმე პირობებში ნერვოზული განცდები ახასიათებს. ასეთი, ჭარბად ემოციური სპორტსმენების მიმართ სპეციალური ღონისძიებებია საჭირო. სპორტის ფსიქოლოგიაში კარგადაა დამუშავებული ფსიქოგენური წვრთნის მეთოდი, ან, როგორც მას უწოდებენ, თვითრეგულაციის ხერხები. ეს მეთოდი, ფაქტიურად, თვითშთაგონების მეთოდია. იგი ყველა სპორტსმენმა უნდა იცოდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მწვრთნელის სიტყვას, შთაგონებას. სპორტსმენები ხშირად მალავენ ამ შიშს, მაგრამ მწვრთნელი ფხიზლად უნდა იყოს, ასეთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორის არცოდნა მას არ აპატიებს. სტრესები ძალიან მავნებელია სპორტში, ვინაიდან, მშიშარა კაცი, უმრავლეს შემთხვევაში, საოცრად დიდი ენერგიით იწყებს ასპარეზობას და, ბუნებრივია, მალე „ამოიწურება“ ხოლმე. იგი ვერ ანაწილებს ენერგიას. ამიტომ, მწვრთნელმა ამ ნაკლზე უნდა მიუთითოს სპორტსმენს. არის შემთხვევები, როცა სპორტსმენს შეჯიბრებამდე კარგა ხნით ადრე ეწვევა შიში, მთელი კვირა არ სძინავს, ზოგიერთს კი გვიან ეუფლება ეს მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ყველა სპორტსმენის თავისებურება სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი — მწვრთნელმა უნდა იცოდეს, ვის რა ეტაპზე ეწვევა ემოციური სტრესი. სპორტული შიში ძნელი დასაძლევია. ის, ვინც ვერ დაძლევს ამ მდგომარეობას, წარმატებას ვერ მიაღწევს.

● რა პერსპექტივები აქვს სპორტულ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას?

— სპორტის ფსიქოლოგია სრულიად ახალი დარგია საერთოდ და ჩვენშიც. ამიტომ, მთელი რიგი აქტუალური პრობლემებისა, რომელსაც სპორტული პრაქტიკა აყენებს, ჯერ კიდევ ნაწილობრივადაც არ არის შესწავლილი. ეს ეხება არა მარტო მთლიანად სპორტული ქცევის ბუნებისა და მისი ცალკეული კომპონენტების (მოძრაობის ტექნიკა, წვრთნის პროცესი, ფიზიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური მომზადება და სხვ.) შესწავლას, არამედ ცალკეული სპორტული სპეციალობების ფსიქოლოგიური ბუნების, თავისებურებების, სპორტსმენების ცალკეულ სპორტულ სახეობებში ვარგისიანობის „პროფშერჩევის“, სპორტსმენის პიროვნების შესწავლის, სპორტულ გუნდებში ფსიქოლოგიური კლიმატის კვლევის და სხვა პრობლემების დამუშავებას. ამ საკითხების შესწავლა აუცილებელი, გადაუდებელი ამოცანაა სპორტის ფსიქოლოგიაში. ამ პრობლემების ღრმა მეცნიერული დამუშავება დიდად შეუწყობს ხელს სპორტის თეორიასა და პრაქტიკას. საერთოდ სპორტის ფსიქოლოგიაში ბევრი პრობლემაა დამუშავებული, მაგრამ ეს მიღწევები, უმრავლეს შემთხვევაში, გამოუყენებელი რჩება პრაქტიკაში, რადგან საბჭოთა კავშირში სპორტის ფსიქოლოგიის „სამსახური“ არ არსებობს. ამიტომაც ფსიქოლოგიური კვლევის შედეგების დანერგვა სპორტში ძნელად ხერხდება. ამ გარემოებებს არ ექცევა ყურადღება. ეს პრობლემა ახლო მომავალში უნდა გადაიჭრას.

საუბარი ჩაიწერა
დ. ჭილიძემ.

● ფეხბურთი ● მსოფლიო ჩემპიონთა ქვეყანაში ●

„რივერ პლეიტის“ მე-17 გამარჯვება

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა არგენტინაში სტუმრობასთან დაკავშირებით გთავაზობთ ამ ქვეყნის ჩემპიონატისა და, საერთოდ, არგენტინული ფეხბურთის მიმოხილვას.

არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატი ერთობ თავისებური, მსოფლიოში ერთადერთი ფორმულით მიმდინარეობს, რომელიც თასის გათამაშებას უფრო ჰგავს, ვიდრე პირველობას. დასაწყისში ბუენოს-აირესის კლუბები და პროვინციული ქალაქების უძლიერესი გუნდები იყოფიან 4, მეტნაკლებად თანაბარი ძალის ჯგუფებად (თითოეულში 5-5 კოლექტივი შედის). ამ 4 ჯგუფში ბრძოლა მიმდინარეობს წრიული სისტემით, 4 წრედ. ჩემპიონატის ამ საწყისი ეტაპის დამთავრების შემდეგ ყოველი ჯგუფიდან 2-2 გუნდი გადის მეოთხედფინალში. აქედან მოყოლებული, გათამაშება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს და ბოლოს, როგორც წესი, ორი უძლიერესი გუნდის ასპარეზობით მთავრდება. მიმომხილველებს არაერთხელ გაუკრიტიკებიათ ეს სისტემა, მაგრამ თვით არგენტინელებს მიაჩნიათ, რომ იგი ურიგო არ არის და, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს ახალ-ახალი ტალანტების დაწინაურებას. ჩემპიონატი, არგენტინელთა აზრით, საკმაოდ ობიექტური შედეგებით მთავრდება.

როდესაც შესარჩევ ჯგუფში შეჯიბრება დამთავრდა, „ა“ ზონიდან მეოთხედფინალში გავიდნენ ბუენოს-აირესის „ველეტ სარსფილდი“ და სანტა-ფეს „უნიონი“, „ბ“ ზონიდან — კორდოვას „ტალერესი“ და სახელგანთქმული „რივერ პლეიტი“ (ბუენოს-აირესი), „ც“ ზონიდან — ბუენოს-აირესის „რესინგი“ და ტუკუმანის „ატლეტიკო“, ხოლო „დ“ ზონიდან — კორდოვას „ინსტიტუტო“ და „სენტრალი“ (როზარიო). „ც“ ზონაში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა მარადონას კლუბმა „არგენტინოს ხუნიორსმა“.

მეოთხედფინალურ მატჩებში ყურადღება მიიპყრო იმ ამბავმა, რომ „რივერ-პლეიტმა“ 2 მატჩში ვერაფერი დაიკლო გაცილებით უფრო ნაკლები რეპუტაციის მქონე „ველეტ სარსფილდს“ და ნახევარფინალში მხოლოდ უკეთესად შესრულებული 11-მეტრიანი დარტყმების სერიით გავიდა. სხვა შეხვედრებში დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა და ასეთი ნახევარფინალური წყვილები შედგა: „რივერ პლეიტი“ — „სენტრალი“, „უნიონი“ — „ატლეტიკო“. აქ „რივერ პლეიტმა“ ორი საკმაოდ იოლი გამარჯვება იზეიმა „სენტრალთან“ — 4:0, 3:1, ხოლო სანტა-ფეს „უნიონს“ მცირე უპირატესობა ჰქონდა „ატლეტიკოსთან“ — 2:1, 2:1.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა მატჩებმა. აქ „რივერ პლეიტს“ შეხვდა ნაკლებად ცნობილი პროვინციული კლუბი „უნიონი“ და ბუენოსაირესელებიც აბსოლუტურ ფავორიტებად ითვლებოდნენ. მაგრამ სინამდვილეში მათ ბევრი ვერაფერი დაამტკიცეს. პირველი შეხვედრა სანტა-ფეში დასრულდა ფრედ — 1:1 და მეორე, ბუენოს-აირესში, ასევე ფრედ — 0:0. „რივერ-პლეიტს“ ჩემპიონობა მიენიჭა სტუმრად გატანილი ბურთის წყალობით.

ეს ამ ცნობილი კლუბის მე-17 ჩემპიონობა გახლავთ 1931 წლიდან მოყოლებული, რაც არგენტინაში პროფესიული ფეხბურთი იქნა შემოღებული. „რივერ პლეიტს“ სათავეში უდგას 40-იანი წლების განთქმული ფეხბურთელი ანხელ ლაბრუნა. გუნდის საბრძოლო შემადგენლობა ასეთია: ფილოლი, საპორიტი, ლეონარდო, პასარელა, ჰ. ლოპესი, ჯ. ლოპესი, მერლო, ალონსო, გონსალესი (დიასი), ლუკე, ორტიზი. ოთხი მათგანი — ფილოლი, პასარელა, ლუკე და ორტიზი მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულს ფლობენ. მათ გარდა, ნაკრებში შედიან მცველი საპორიტი და ნახევარმცველი ალონსო. კლუბის რიგებში დაწინაურდა მეტად შედეგიანი თავდამსხმელი, 19 წლის დიასი. იგი სექტემბერში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში ჭაბუკთა შორის, რომელიც იაპონიაში გაიმართა და ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. აქ დიასმა პირველი ადგილი დაიკავა სნაიპერთა შორის და თავის პარტნიორ, უკვე სახელგანთქმულ მარადონასთან ერთად ტურნირის უძლიერეს მოთამაშეთა შორის მოხვდა.

არგენტინის ჩემპიონობის მოპოვებასთან ერთად „რივერ პლეიტი“ ბუენოს-აირესის ჩემპიონიც გახდა, რომელიც თავისი შემადგენლობით დიდად როდი ჩამოუვარდება ეროვნულ პირველობას. ახლა ეს კლუბი „კოპა ლიბერტადორესში“ (სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი) მონაწილეობის მისაღებად ემზადება. არგენტინიდან მეორე ადგილი აღნიშნულ შეჯიბრებაში „უნიონს“ (სანტა-ფე) დაეთმო.

არგენტინის ჩემპიონატის დიდი მოულოდნელობა იყო ბუენოს-აირესის ცნობილი კლუბის „ბოკა ხუნიორსის“ წარუმატებლობა. იგი 8 უძლიერესი კლუბის რიცხვშიც კი ვერ მოხვდა. პერუელი მიმომხილველი ვალენსუელა ამას იმით ხსნის, რომ „ბოკა ხუნიორსი“ ბოლო ხანებში ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა და იძულებული გახდა გაეყიდა უძლიერესი მოთამაშეები. კლუბის უფროსი მწვრთნელი, კარგად ცნობილი სპეციალისტი ხუან კარლოს ლორენცო ახლა მთელ იმედებს ახალგაზრდებზე ამყარებს. „ბოკა ხუნიორსი“ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასს ფლობდა 1977 და 1978 წლებში და ამავე შეჯიბრების ფინალისტი იყო 1979 წელს.

ეროვნულ ჩემპიონატს, ცხადია, დიდი ყურადღებით აღევნებენ თვალს პირველი ნაკრების მწვრთნელები და, რაც მთავარია, მენოტი. საერთოდ, მენოტი გაცილებით უფრო მეტად დაკავებულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი. საქმე იმაშია, რომ იგი ერთდროულად ხელმძღვანელობს ჭაბუკთა და ოლიმპიურ ნაკრებსაც, დაჰყვება მათ ყველა შეჯიბრებაში და ა. შ. დამთავრდება თუ არა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ოლიმპიური ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურნირი, მენოტი პირველი ნაკრების ფეხბურთელთა შეკრებას ჩაატარებს, გაზაფხულზე კი მისი გუნდი ევროპაში ჩამოვა.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ლ. მენოტი ერთობ პოპულარული პიროვნება გახდა. მისი „აქციები“ კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც არგენტინის ჭაბუკთა ნაკრები იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამის „ხარჯზე“ აპატიეს მენოტის პირველი ნაკრების დონეზე რამდენიმე ამხანაგური მატჩის წაგება და უფრო სერიოზული მარცხიც — უფერული გამოსვლა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში. ახლა მენოტის მომხრეც ბევრი ჰყავს და მტერიც. საქმე იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ მის შესაძლო შემცვლელებსაც ასახელებენ (მათს რიცხვში, სახელოვან სივორის). ასეთ პირობებში მენოტის, როგორც მწვრთნელის, შემდგომ ბედ-იღბალში დიდი როლი უნდა შეასრულოს მოსკოვის ოლიმპიადის ფეხბურთელთა ტურნირმა, თუმცა, არგენტინელებმა მანამდე ჯერ რეგიონალურ ტურნირში უნდა მოიპოვონ ოლიმპიადის საგზურები.

გ. თორელი.

„...ვიღებ მხოლოდ სპორტს“



თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის XIX საერთაშორისო ტურნირის დღეებში სპორტის სასახლეში შეკრებილთ, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩათ საჭიდაო ხალიჩასთან საინტერესო მომენტების მოლოდინში ფოტოაპარატით „ჩასაფრებული“ ქალი.

დავინტერესდით მისი ვინაობით: ნადეჟდა მიშჩენკოს დაუმთავრებია მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტი მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალობით, ამჟამად კრასნოიარსკში, ტელევიზიის სპორტულ კომენტატორად მუშაობს. ფოტოაპარატს ამ 10 წლის წინათ დაუმეგობრდა.

— ვიღებ მხოლოდ სპორტს — გვეუბნება ნადია — მესამედ ჩამოვდივარ თბილისს ტურნირზე. ქალი და ჭიდაობა. მართლაც იშვიათია. მიშჩენკოს ფოტოარქივში ჭიდაობის ფირები ბევრად სჭარბობს სხვებს. წარმოიდგინეთ, ავტორი ამ წმინდა მამაკაცურ სახეობის ნიუანსებშიც კი შესანიშნავად ერკვევა. იქნებ ეს იმითაც აიხსნება, რომ მის მშობლიურ კრასნოიარსკში თავისუფალი ჭიდაობა № 1 სპორტის სახეობად არის აღიარებული.

— ეს თქვენი თანამემამულის, სსრ კავშირის დამსახურებული

მწვრთნელის დიმიტრი მინდიაშვილის „ბრალია“ — ღიმილით ამბობს იგი. მართლაც და, ორი ათეული წლის მანძილზე „მინდიაშვილის სკოლამ“ აქ ბევრი სახელოვანი ფალავანი აღზარდა.

სწორედ ჭიდაობასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული შემთხვევა გვიამბო ნადეჟდა მიშჩენკომ: გასულ წელს, როდესაც თბილისის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდა შინ, ადგილობრივი ტელევიზიით უნდა გადაეცა ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი მის მიერ მომზადებული 15-წუთიანი საუბარი დიმიტრი მინდიაშვილთან. ნადიას წინასწარ შეუდგენია საინტერესო კითხვები და გადაცემისთვის მომზადებულა. დრო გადიოდა. მინდიაშვილი კი არ ჩანდა. გადაცემას ჩაშლა ემუქრებოდა. რაღას იზამდა — შეიჭიდა სტუდიაში და... დაიწყო.

— მოვყევი ყველაფერი თქვენ ლამაზი ქალაქის შესახებ, დიმიტრი კი არა და არ ჩანდა. რა მექნა, დავიწყე თხრობა ტურნირის შესახებ — ვთქვი რაც კი გამახსენდა. მეორე დღეს ტელევიზიის კომიტეტში გამომიძახეს თავმჯდომარესთან და... მადლობა გამომიცხადეს...

გ. გარგაძე,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათებზე: სპორტული ჟურნალისტი ნადეჟდა მიშჩენკო. ქვემოთ კი მისი ობიექტივის ერთ-ერთი საინტერესო „მონაპოვარია“ — ორი ოლიმპიური ჩემპიონი — ყველაზე მსუბუქი (რ. დიმიტრიევი) და ყველაზე მძიმე (ს. არდიევი).

ვ. გენგიურისა და ნ. მიშჩენკოს ფოტოები.

გედნიერებას გისურვებთ!

მათ შეიყვარეს ერთმანეთი და ერთმანეთს დაუკავშირეს თავიანთი მომავალი. შეიქმნა კიდევ ერთი სპორტული ოჯახი. გუშინ თბილისის ქორწინების სახლში შეუღლდნენ ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი, კრასნოიარსკელი ელენე ახმილოვსკაია და თბილისელი რეგბისტი, ხსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ვლადიმერ პეტუხოვი, რომელიც სხვათა შორის, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატია.

ვუსურვოთ მათ დიდი სპორტული წარმატებები და ბედნიერება ცხოვრებაში!

ა. კოტორაშვილის ფოტო.



● ასეც მომხდარა...

ღვთისმსახური მოკრივე

კრივი და ღვთისმსახურება შორიშორისაა ერთმანეთისაგან, მაგრამ ინგლისის საეკლესიო საბუთებში გვხვდება ერთი ჩანაწერი, სადაც აღნუსხულია ეკლესიაში მომხდარი შემთხვევა, რომლის დროსაც გოტინგემის საყდრის მღვდელი იძულებული გახდა მოკრივის შესაფერად გარჯილიყო.

შიშველი მუშტით ბრძოლის ხანაში, ინგლისში, ვილიამ ტომსონმა სახელი გაითქვა როგორც უძლიერესმა მოკრივემ. იგი გამორჩეოდა ილეთების სიუხვით და მძაფრი ტემპერამენტით. ინგლისში ერთხანს კანონით აიკრძალა კრივი, მაგრამ ტომსონი მაინც მონაწილეობდა მალულად გამართულ მატჩებში. ამისთვის იგი 38-ჯერ მოხვდა სატუსაღოში. ციხეში ტომსონზე იქაურმა ქრისტეს მსახურებმა მოახდინეს გავლენა და, ოცდამეთვრამეტე პატიმრობის ვადის გათავების შემდგომ, იგი მღვდელი გახდა.

ერთხელ ტომსონი გოტინგემის საყდარში ქალაქის მკვიდრთ უქადაგებდა ღვთისმოწყალეობაზე, იმის შესახებ, რომ ღმერთი ყველას მიუტევებს ცოდვებს. მრევლი სულგაკმენდილი უსმენდა. უეცრად ეკლესიის სიმყუდროვე დაარღვია თავხედურმა ღრიანცელმა. ექვსი ჯანღონიანი, შეზარხოშებული მამაკაცი შემოიჭრა ტაძარში. ისინი უხამსად იხსენიებდნენ ტომსონს და მრევლის წინაშე სახელს უტეხდნენ. სად გაგონილა, ძველი ცოდვილი ხალხს მოძღვრობდესო. ტომსონმა ბევრი ითმინა, მერე კი ხელები გულზე დაიჭდო, თვალები ცად აღაპყრო და შეღაღადა: არაერთი წელია შენს საქმეს ვმსახურებ, ახლა კი ნება დამრთე ორიოდ წუთით ჩემს გასაჭირს მივხედოო. ამ სიტყვებთან ერთად იგი ჩამოიჭრა კათედრიდან და ელვის უსწრაფესად ძლიერი დარტყმებით ზედიზედ მიაწვინა ექვსივე თავხედი. შემდეგ ვითომც აქ არაფერიაო, კათედრაზე დაბრუნდა და ქადაგება განაგრძო.

ამრევნი გონს მოვიდნენ, მაგრამ კრინტი აღარ დაუძრავთ. იდგნენ მორჩილად და უსმენდნენ შეგონებებს.

ე. გიორგაძე.

«სპორტლოტო»

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მეხუთე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6—49“-დან:

პირველი: 6 (კალათბურთი), 10 (საბუერო სპორტი), 21 (ცხენოსნობა), 23 (მძლეოსნობა), 24 (თხილამურები), 30 (აფროსნობა). შეღავათიანი ბურთულა — 18 (ქალაქობანა).

მეორე: 16 (ტანვარჯიში), 18 (ქალაქობანა), 26 (მოტობურთი), 31 (ცურვა), 44 (ფიგურული სრიალი), 48 (ჭადრაკი). შეღავათიანი ბურთულა — 11 (ველოსპორტი).

„სპორტლოტო 5—36“-დან:

პირველი: 3 (ბობსლეი), 7 (ვოლოტრეკი), 10 (ფრენბურთი), 16 (ცხენოსნობა), 33 (ფიგურული სრიალი).

მეორე: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (ფრენბურთი), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 26 (საბრძოლო), 35 (ბალახის ჰოკეი).

რედაქტორი ა. გასილაია

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **რედაქციის მისამართი:** 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორაუსში, ზოშარაულის, 29.
УГ 10022 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17